ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1924 შაბათი, 14 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1924

ხელის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნობის ფურცელ“-„მოამბის“ ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ დარჩენილ ხვედრი ფულების შემოტანა.

1-ლ ოქტომბრიდან **გედევანიშვილის საავადმყოფოსთან არსდება მასსაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკის კურსები**. სასწავლებელი საგნები:

ანატომია; ფიზიოლოგია; — ექიმები: გ. ვ. სობოლევსკი, ე. გ. ფეოდოროვი

მასსაჟის თეორია და ტეხნიკა; პრაქტიკული მეცადინეობა — ექიმები: ა. გ. მალალაშვილი, გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—3)

განცხადება

ამიერ კავკასიის რკინის გზათა მმართველობა

სთხოვს ყველას, ვინც რკინის გზების აგენტებს უხდის რაიმე დამატებით ან შესავსებელ გადასახადს, უთუოდ მოსთხოვონ აგენტებს, რომელნიც ამ გადასახადებს იღებენ, დაწესებული კვიტანცია იმის დასამტკიცებლად, რომ ფული გადაიხადეს, რადგან, თუ ასეთი კვიტანცია არ მიიღეს, შესაძლებელია მეორედ მოსთხოვონ ფულის გადახდა. (ნ. 5—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

გ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისთვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ვ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის- და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ხმა დადის, ბურების გენერლები აღარ წავლენ ევროპაში სამოგზაუროდაო, ჰოლანდიიდან პირდაპირ ინგლისში დაბრუნდებიან, ჩემბერლენსა ჰნახვენ ხელმეორედა და ეცდებიან, რომ ინგლისის მთავრობამ ბურებს მეტი შემწეობა დაუნიშნოს, რადგანაც ევროპაში ფულის შოვნა შეუძლებელიაო. სამინისტროს წრეებში წინააღმდეგნი არიან, რომ ბურებს ხელადებით მიეცეს ფული, მაგრამ ფერმერებს რომ სესხი მიეცეს,—ამაზე უარს არ ამბობენ. გაათავებენ თუ არა თავიანთ საქმეებს ლონდონში, გენერლები მაშინვე სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნდებიან. ზოგიერთ სახელმწიფოს მთავრობას შემოუთვლია გენერლებისათვის, ნებას არ მოგცემთ ჩვენში ინგლისის წინააღმდეგ მანიფესტაციები გაჰმართოთო. მართალია, ბურების მეთაურებს მანიფესტაციის მოხდენა ფიქრადაც არა ჰქონდათ, მაგრამ მთავრობების შემონათვალი, ალბად, ჰკუაში არ მოჰსვლიათ და გადაუწყვეტიათ, ევროპაში მოგზაურობას თავი დავანებოთო.

✦ იოჰანესბურგიდან ამბავი მოსულა: სამთო ინჟენერმა რატბონმა ვიტვატერსრანდის ოლქი გამოიკვლია და აღმოაჩინა, რომ ამ ოლქში მდინარე ვაალის ახლო 20 მილის მანძილზე ოქროს მადანი ყოფილა. მადნის ახლო მაშინებისათვის საჭირო წყალი და ქვა-ნახშირიც ბლომად არის, თურმე.

✦ „დეილი ნიუზ“-ის დუბლინელი კორესპონდენტი იწერება: მას აქეთ, რაც დუბლინში განსაკუთრებული კანონები შემოიღეს, „აირიშ პიპლ“-ის გარდა, სხვა გაზეთებსაც მოსთხოვეს პასუხის-გებაო; „მიდლანდ ტრიბუნ“-ის რედაქტორი ბირიც სამართალში ჩააგდეს მუქარის შეთვლისათვის, დეპუტატ ფარელსაც მოსთხოვეს პასუხი იმის გაზეთში დაბეჭდილ წერილებისათვის. ერთის სიტყვით, მთავრობა ეხლა ძლიერ მხნედ იქცევა და, ეტყობა, დიდ ბრძოლას აპირებს ნაციონალისტურ გაზეთებთან. სამართალში მიცემულები არიან ეგრეთვე ხუთი წევრი დეპუტატთა პალატისა და დიდ-ძალი ხმოსანი ადგილობრივ თვით-მმართველობისა; ბრძოლა ეს არის იწყება და სამართალში კი ამდენი ხალხია მიცემული. მერე რაღა იქნება...

საფრანგეთი. „მატენ“-ს შეუტყვია: პარლამენტი 1 ოქტომბერს შეიკრიბებაო. მთავრობა განგებ ჰკრებს ასე ადრე პალატას, რომ 1903 წლის ბიუჯეტის განხილვა მოასწროსო.

✦ „ტან“-ი სწერს: მთავრობამ ამას წინად სთხოვა სახელმწიფო საბჭოს, კონგრეგაციებისაგან შემოტანილი თხოვნები ყველა უნდა წარმოგიდგინოთ განსახილველად, თუ მარტო ის თხოვნები გადმოგცეთ, რომლებზედაც მთავრობა უარის თქმას აპირობსო. მთავრობა ნება დართულ კონგრეგაციების ახალ დაწესებულებათა თაობაზე ეკითხება საბჭოს. ჯერ ნება დაურთველი კონგრეგაციების თხოვნები კი პარლამენტს გადაეცემა განსახილველად. სახელმწიფო საბჭომ უპასუხა: მთავრობა მოვალეა მარტო ის დეკრეტები წარმოგვიდგინოს, სადაც კონგრეგაციებს დაწესებულებათა დაარსების ნება ეძლევა, და იმ დეკრეტების წარმოდგენა კი, რომლებშიაც უარ-ყოფილია კონგრეგაციების თხოვნა, საჭირო არ არისო. ასე რომ მთავრობას შეუძლიან, როგორც ჰსურს, ისე მოიქცეს და თითონ, სახელმწიფო საბჭოს დაუკითხავად, შეუძლიან ყველა ამას წინად დახურულ საკონგრეგაციო სკოლების ბედი თავის ნებით გადასჭრას.

✦ ამას წინად სამხედრო მინისტრმა ანდრემ და ზღვათა მინისტრმა პელტანმა სიტყვები წარმოსთქვეს და გარეშე საქმეებსაც შეეხნენ. ანდრემ გერმანიას გადაჰკრა ორიოდე სიტყვა, პელტანი კიდე, გერმანიის გარდა, იტალიასაც გადასწვდა. ორსავე მინისტრის, და ნამეტნავად პელტანის, ნალაპარაკევმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საფრანგეთისა და მთელი ევროპის გაზეთებში. მართალია, პელტანი ამტკიცებდა, იტალიის საწყენი არა მითქვამს რაო, მაინც დღესაც არ ეშვებიან, იმის ნათქვამს ჰკიცხავენ და სასაცილოდ იგდებენ. გარეშე საქმეთა მინისტრ დელკასეს თხოვნით პირველ მინისტრს კომბს პელტანისათვის შენიშვნაც მიეცა. აქამდე თუ მარტო სამინისტროს წინააღმდეგი გაზეთები ჰკიცხავდნენ ამ მინისტრებს, ეხლა თვით სამინისტროს მომხრე გაზეთებსაც-კი გაუკიცხავთ ანდრესა და პელტანის თავდაუჭერელი ლაპარაკი. ზოგიერთ სამინისტროს მომხრე გაზეთს ჰგონია, პელტანიც დ҃ ანდრეც სამინისტროდან გავლენო. ინგლისსა და იტ[illegible]ში-კი პელტანის სიტყვას თურმე [illegible]ვინ არ გაუცხარებია და მარტო სასაც[illegible]ოდ იგდებენ. სამაგიეროდ გერმანიის შოვ[illegible]ნისტური გაზეთები ცდილობენ პელტანის ორიოდე სიტყვა გააზვიადონ და იტალიასა და საფრანგეთს შუა მტრობა ჩამოაგდონ.

ოსმალეთი. გერმანულ გაზეთებს სწერენ მიტროვიციდან: ალბანელების წინამძღოლმა ბოლეტინაცმა, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის საკონსულოს დაარსებას ძველ სერბიაში, აინუინშიაც არ ჩაიგდო ოსმალეთის მთავრობის მუქარაო. ხონთქარმა სტამბოლში დაიბარა ურჩი ალბანელი სარდალი, მაგრამ ბოლეტინაცმა ამაზედაც უარი განაცხადა. ყველა ნაირი სურსათი დაიმზადა, თავის სოფელ ბელეტინატში გამაგრდა და ეხლა არხეინად ელის ოსმალეთის ჯარებს. თავისი მოსამსახურეები და ჰარამხანა ძველ სერბიის შუაგულში, სოფ. იპეკში გაუგზავნია.

✦ სულ ათიოდე წელიწადია, რაც გერმანიის იმპერატორი დაუმეგობრდა ოსმალეთს და ისე ოსტატურად წაიყვანა საქმე, რომ ლამის მთელს ოსმალეთს დაეპატრონოს, ლამის ოსმალეთი ტკბილის სიტყვით, მშვიდობიანად დაიპყრას; რაც სხვებმა სისხლის ღვრითა და ბრძოლით ვერ მოახერხეს, გერმანიამ თავის მთავრობისა და ფინანსისტების გამჭრიახობითა და ოსტატობით მოახერხა. მცირე აზიაში ბევრი გერმანელები დაასახლეს, ბევრი თვალსაჩინო ხეირიანი საალებ-მიცემო საქმე ჩაიგდეს ხელში და რკინის გზები გაიყვანეს. ამ დღეებში ხომ გერმანელმა კაპიტალისტებმა მეტად დიდი საქმე მოახერხეს: ბაღდადის რკინის გზის კონცესია აიღეს. მართალია, ფული ამ გზისათვის ფრანგმა კაპიტალისტებმაც გამოიღეს, მაგრამ უპირატესობა მაინც გერმანელებსა აქვთ. ბაღდადის რკინის გზა ბოსფორიდან დაიწყება, მთელ მცირე აზიაზე 2000 ვერსტს გაივლის და ოდესღაც დიდებულ ქალ. ბაღდადში შივა. დიდი მნიშვნელობა ექნება ამ გზას ალებ-მიცემობისათვისაც. ვისიც ხელში იქნება ეს გზა, მცირე აზიის ნამდვილი პატრონიც ის იქნება.

მცირე აზიაზე ბევრს სხვასაც ეჭირა თვალი. რაკი ევროპის მხრით სტამბოლის აღება და ბოსფორის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს, იფიქრეს, მცირე აზიას ნელნელა ხელში ჩავიგდებთ, თან-და-თან წინ წავიწევთ და ბოსფორამდე მივაღწევთო, მაგრამ გერმანიამ ეს იმედიც გაუცრუვათ და პირში ჩალა-გამოვლებული დატოვათ. ისე მაგრა გაიდგა ფესვი მცირე აზიაში, რომ ამ გზით ბოსფორის აღება შეუძლებელი გახდა. გერმანელთა გაძლიერება მცირე აზიაში რუსეთისთვისაც ძლიერ საწყენია, რასაკვირველია. რუსული გაზეთი „ნოვოევრემია“ იმ თავითვე დიდ ყურადღებას აქცევდა ამ საქმეს და ეხლაც რამდენიმე წერილი უძღვნა ბაღდადის რკინის გზას.

გაზეთი რუსეთის დიპლომატიას უჩივის, როგორ ვერ მოახერხეს და გერმანიის გაბატონებას მცირე აზიაში ხელი არ შეუშალესო. მაგრამ მარტო დიპლომატიის საშუალებით ვერას გავხდებოდითო, უნდა იმ თავითვე ვცდილიყავით და მცირე აზიის ალებ-მიცემობა რუსის ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელშიო; ეს ვერ მოვახერხეთ დ҃ აკი ოსმალეთში ჩვენ მაგივრად სხვები გაბატონდნენო. ბოლოს გაზეთი ჰხსნის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის აღმოსავლეთსა და ნამეტნავად მცირე აზიას:

„ევროპის სახელმწიფოებისათვის მთელი აღმოსავლეთი მარტო ალებ-მიცემობის ბაზარია; ევროპას ბაზარი უჭირს დ҃ აღმოსავლეთშიაც მარტო ბაზრის დაჭერას ცდილობს. სულ სხვაა რუსეთი. ჩვენ ჩრდილოეთისკენ ვართ მიჭყუნული, ამიტომაც ძალა უნებურად სამხრეთისკენ, თბილი ზღვისკენ ვიწევთ, სადაც უფრო კარგი მდიდარი ადგილებია. აღმოსავლეთი ჩვენთვის რუსეთის ნაწარმოების გასასაღებელი ბაზარი და გამდიდრების ადგილი არაა; აღმოსავლეთი ჩვენთვის ის ადგილია, სადაც რუსეთის ისტორია უნდა დასრულდეს.

რასაკვირველია, ყველა ამ ქვეყნებს ერთნაირი მნიშვნელობა როდი აქვთ ჩვენთვის. რუსეთისათვის ყველაზე მეტი ფასი ბალკანეთის ნახევარ-კუნძულსა, მცირე აზიას და ბოსფორის სრუტეს აქვთ. ვინც ამ ადგილებს ჩაიგდებს, წინა აღმოსავლეთის ბატონიც ის გახდება. ამის შემდეგ სპარსეთს აქვს ფასი; ამ ქვეყანასაც ოკეანე ჰსაზღვრავს. შორეულ აღმოსავლეთს გაცილებით ნაკლები ფასი აქვს, მართალია იქაცაა თბილი ზღვა, მაგრამ ძლიერ შორსაა და ამიტომ შიდა რუსეთისათვის მაგდენი ფასი აღარა აქვს.

ამიტომაც ჯერ ოსმალეთი უნდა დაგვეპყრო მშვიდობიანად, მერე სპარსეთი და სულ ბოლოს—შორეული აღმოსავლეთი. ნამდვილად კი სულ სხვანაირად მოვიქეცით: რაც კი შეძლება გვქონდა, სულ შორეულ აღმოსავლეთს მოვანდომეთ, სპარსეთზე ამის ნაასალი არ დაგვიხარჯავს, ოსმალეთზე ხომ სულაც აღარა გვიფიქრია-რა. ოსმალეთში მარტო „რუსეთის ნავოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოება“ დავაარსეთ და ეს არის და ეს. ამით გვინდოდა ჩვენი გავლენა გაგვეძლიერებინა ამ ქვეყანაში. რუსეთმა ბევრი სისხლი დაღვარა და ბევრი იბრძოლა ამ დიდებული დ҃ წმინდა საქმისათვის. ცოტა კიდევ რომ ვცდილიყავით, საქმე გამარჯვებით გათავდებოდა, მაგრამ ამ დროს სხვა საქმეს გამოვუდექით და ოსმალეთი სხვებს დავუცა-

ლეთ. გერმანელების რკინის გზამ სამხრეთის გზა შეგვიკრა. მცირე აზია და თვით ბოსფორიც კი უპატრონოთ დავტოვეთ; თითქო ჩვენვე მოვიწვიეთ ევროპიელები: „ჩვენა ვხანით, თქვენ კიდე მოდით და დათესეთო“. მალე ყანა მოსამკალიც გახდება, მაგრამ რაც არა დაგვითესია-რა, ვერცა რას მოვიმკით“.

ეხლა გვიანღაა ნანობა. ყოველთვის ასე ყოფილა: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება“-ო.

ახალი ამბავი

✦ ორშაბათს, 16 სექტემბერს, ტფილისის **ქალაქის საბჭომ**, წინანდელ კრებაზე დარჩენილ საქმეებს გარდა, უნდა განიხილოს, სხვათა შორის, წინადადება ტფილისის გუბერნატორისა სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის აღმასრულებელ კომისიად გადაკეთების შესახებ.

✦ **ობსერვატორიაში ცეცხლის გაჩენის გამო** პოლიციამ და გამომძიებელმა უკვე დაამთავრეს გამოძიება. ეხლა უფრო დარწმუნებულან, რომ ცეცხლი განზრახ გაუჩენია ვიღაცას, მაგრამ დამნაშავის კვალიც კი ვერ აღმოაჩინეს აქამომდე. ზარალიც ნამდვილად უანგარიშიათ და მხოლოდ 12 ათასი მანეთისა აღმოჩენილა ჭ არა სამოცისა, როგორც პირველს ხანებში ასახელებდნენ. ამ ზარალიდან დამწვარ შენობის ღირებულობას შეადგენს 8 ათასი, დანარჩენი ოთხიც—ობსერვატორიის იარაღ-მოწყობილებისა.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ტფილისის სათავად-აზნაურო **თეატრის შეკეთება** დაუჯდა სულ 2000 მანეთამდე. ეხლა თეატრი მშვენიერს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. შიგნით იგი გასუფთავებულია და გალამაზებული; შეაკეთეს სცენა, გალესეს კედლები და თალი, გამართეს ამფითეატრი. თეატრის შეკეთება უკვე დამთავრდა. თავ. ალ. წერეთლის საოპერო დასმა ერთი კვირაა რეპეტიციები დაიწყო. წარმოდგენები ამ თვის 20-დან დაიწყება.

✦ ქალაქის სკოლათა გამგე-კომისიას გუშინ წინ კრება ჰქონდა. სხვათა შორის, ისიც უნდა გადაეწყვიტა, რომ ერთი მასწავლებელი ქალი დაენიშნა ერთ-ერთს ქალაქის სკოლისათვის, რადგან იქ თავისუფალია აქამომდე მასწავლებლის ადგილი. მაგრამ კომისია არც კი შეეხებია ამ საკითხს და **სკოლას მასწავლებელი არ დაუნიშნა**, თუმცა მსურველთა რიცხვი საკმაო და ბევრია და არჩევაც ადვილად შეიძლებოდაო—გადმოგვცეს ჩვენ.

✦ გუშინ ქალაქის **კომისია იყო ნაძალადევში** და დაიარა ის მოსახლეები, რომელთაც ქალაქის ადგილები ძალით დაიჭირეს. კომისიამ შესაძლებელად სცნო 25 მოსახლესთან პირობა შეჰკრას ქალაქმა და ექვსის წლით თავისი ადგილები იჯარით დაუთმოს, ყოველი ოთხ-კუთხი საჟენი ხუთ შაურად. ვადის გასვლის შემდეგ ადგილი კიდევ იმავე მოსახლეს დაეთმობა, მაგრამ უფრო მეტ ფასში.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ შარშან სათავად-აზნაურო ქარვასლის ეზოში გამართულ ბალში მე-5 მსროლელ ბატალიონის ოფიცერმა ვიხოდცევმა მოჰკლა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე შტოლცენბერგი და ამ დანაშაულობისათვის კავკასიის სამხედრო სასამართლომ სამსახურიდან დათხოვა და ციხეში ერთის წლით ჩაჯდომა მიუსაჯა მკვლელს, მაგრამ ისიც დაადგინა, უქვეშევრდომილესად ეთხოვოს ხელმწიფე იმპერატორს ვიხოდცევს დანაშაული ეპატიოს და სასჯელი სრულებით ნუ მიეცემაო. უმთავრესს სამხედრო სასამართლოს უცნობებია კავკასიის სამხედრო სასამართლოსათვის, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და **ვიხოდცევს ამ საქმის ყოველი დანაშაული აპატიათ.**

✦ ხვალ, 15 სექტემბერს, ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის სადგომში სხდომა ექნება კანდიდატთა სიების გადასათვალიერებლად ტფილისის **პირველ საარჩევნო ნაწილის** ამომრჩევლებს. სხდომა დაიწყება დილის 11 საათზე.

✦ ვაჟების 1-ლ კლასიკურ გიმნაზიაში **ორი სტიპენდია განთავისუფლდა**, რომელიც განსვენებულის აბესალომოვის სახელობაზეა დაწესებული. სტიპენდიის მიღების მსურველთ უნდა ქალაქის გამგეობას განუცხადონ და აქ წილს უყრიან ყველა მსურველს.

✦ ამას წინად ტფილისის მოქალაქეების რწმუნებულთა კრებამ დაადგინა, რომ **მოქალაქეთა მამასახლისს ჯამაგირი აღარ მიეცეს**, ხოლო მისვლა-მოსვლის ხარჯად წლიურად ოც-და-ათი თუმანი დაენიშნოსო. ეს დადგენილება გუბერნატორს წარუდგინეს და იმასაც დაუმტკიცებია იგი.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 7 სექტემბერს ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების კრებაზე მოქალაქეთა გადასახადის ამკრებმა მამასახლისმა ხოსროევმა გამგეობის საქმის მწარმოებელს ჯილიაევს **მექრთამე უწოდა** საჯაროდ. ეხლა ხოსროევმა განცხადება წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა, თანამდებობიდან განმათავისუფლეთ, რადგანაც გამგეობის საქმის მწარმოებელ ჯილაევთან სამსახური მე არ შემიძლიანო.

✦ ტფილისში თავისებური ხლესტაკოვი „გამოჩენილა გზათა საინჟინერო ტანსაცმელში ეს ვაჟბატონი ერთ ადგილას მისულა და ორასი თუმნის ცემენტი შეუკვეთია ერევნის რკინის გზისათვის, ხელიც მოუწერია ქაღალდზე და უთქვამს ცემენტიცა და ფულის მისაღები ანგარიშიც გზის უფროსს გაუგზავნეთო. მერე ცემენტის პატრონისაგან მიუღია სამუამავლო ექვსი თუმანი. ახლა მეორე ადგილას მისულა ტომეტის (აგურების) ქარხანაში, აქაც შეუკვეთია ტომეტი იმავე გზაზე სადგურების მოსაგებად და მერე სამუამავლო ფულიც უთხოვია, მაგრამ „ალჩუმ“ უმტყუნა, თუმცა ფაიტონის ფული აქაც აუღია. მერე ქარხნების პატრონები რკინის გზის სამმართველოს დაჰკითხებიან და, აბა, რა სასიამოვნო ამბავს მიიღებდნენ აქიდან. საქმე პოლიციის ხელში გადასულა. ბევრი უძებნია პოლიციას ეს ვაჟბატონი და ბოლოს 1-ლ უბანში-კი აღმოუჩენია იმის ბინა. მიაბრძანეს პოლიციაში. აქ დოკუმენტები წარმოუდგენია: ა) პასპორტი ვითომ ეკატერინბურგის პოლიცმეისტრისაგან მიღებული და ბ) ატესტატი კასპიის იქითა მხრის რკინის გზის სამმართველოსი, ამ გზაზე ნამსახურობისა ამ ქაღალდებში ორგვგან სწერია, რომ ამათი პატრონი ინჟინერი სმელოვ-სოფონოვია. შეეკითხნენ ამ ადგილებს და კასპიის იქითა მხრიდან ცნობა მოუვიდათ, რომ იქ არც ვინმე ყოფილა იმ გვარის მოსამსახურე ინჟინერი და არც ატესტატი მიგვიცია ვისმესათვისო. პოლიციაში გამოძიების დროს მისულა ვინმე ეფრემოვის ქვრივი და შეწუხებულის ხმით დაუწყია ამ კაცზე წუწუნი. „ხლესტაკოვსაც“ დრო უდროვებია და გამქრალა: კვალიც ვეღარ მიუგნიათ ჯერჯერობით.

✦ მადათოვის ქუჩაზე მოსულიშვილის სახლის წინ გაუთხრიათ არხი. მუშაობა ყოვლად უწესოდ სწარმოებს. 10 სექტემბერს მუშებს ზედ დასწოლია და მალე რომ არ მიჰშველებოდნენ, ყველანი დაიხოცებოდნენ. 11 სექტემბერს კიდევ ჩანგრევიათ მუშებს არხის ერთი კედელი და ერთი მოუტანია ქვეშ. გაუთხრიათ მიწა, მაგრამ საწყალი უკვე გაგუდული ამოუღიათ იქიდან. საკვირველია, რატომ ტეხნიკოსი ყურადღებას არ აქცევს ამას.

✦ ქალაქმა ბევრი ეძია გვრის საქალაქო სკოლისათვის ახალი ბინა, რადგან გ. მაჩაბლის სახლი, ოლგინსკის ქუჩაზე, უვარგისად მიაჩნია, მაგრამ სახლი ვერ იშოვნეს და ერთის წლით კიდევ ძველს ბინაზე დასტოვეს სკოლა.

✦ ნავთლუღში მცხოვრების დ. ჩიჯავაძის მწყემსებს იმ ადგილის გვერდით, სადაც გზატკეცილი მიდის ტფილისიდან კახეთისაკენ, შედამებისას შეუნიშნავთ, რომ ვიღაც საეჭვო პირები მოერეკებოდნენ 7 სულ სხვილ-ფეხა საქონელს. როცა დარწმუნებულან, რომ საქონელი მოპარულია, გამოჰლაპარაკებიან. ქურდებს წინააღმდეგობა გაუწევიათ, რის გამო ატეხილა თოფის სროლა. როგორც გადმოგვცეს, ერთი ქურდი დაუჭრიათ ჩიჯავაძის მწყემსებს. ქურდებს დაჭრილი ამხანაგი გაუტაცნიათ და გაქცეულან, ხოლო ბრძოლის ადგილზე 7 სული მოპარული საქონელი დაუტოვებიათ. დღემდე არ იციან, ვისია ეს მოპარული საქონელი.

✦ 16 სექტემბრისათვის დანიშნულია სხდომა საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩების საუკეთესო სისტემით მოკირწყვლის საქმე. კომისიამ უნდა განიხილოს ქუჩების მოსაკირწყლავი ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ ტფილისის საყასბოში ახალის ინსტრუქციის ძალით, 15 სექტემბრიდან საქონელი უნდა დაიკლას შემდეგის წესით: 1) წვრილ ოთხ-ფეხ საქონელს: თხას, ცხვარს და სხვ. დაჰკლავენ დილის 9 საათამდე, ჰსინჯავენ ხორცს 9½ საათამდე; შემდეგ ყასბებს ნება მიეცემათ ხორცის წადების; 2) სხვილ ოთხ ფეხა საქონლის დაკვლას შეუდგებიან 9 საათიდან და შეასრულებენ ნაშუადღევის 3 საათამდე. მცხოვრებთ ხორცის სყიდვა საღამოთითვე შეეძლებათ. ღორების დაკვლას შეუდგებიან საღამოს 7 საათიდან და განაგრძობენ დილის 7 საათამდე.

✦ ამ მოკლე ხანში მე-13 აფთიაქი გაიხსნება ქალაქში, ავჭალის ქუჩაზე; ეკუთვნის პროვიზორს იაკუბოვიჩს. საგუბერნიო ექიმის თანაშემწეს ბ-ნ ბრძელს დაუთვალიერებია ახლად გამართული აფთიაქი და ყველაფერი წესიერად აღმოუჩენია.

✦ ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის ახალი შენობა მხოლოდ იანვრისათვის თუ დასრულდება, იმიტომ რომ მხოლოდ ამ მოკლე ხანში შეუდგნენ შიდა მუშაობას.

✦ ტფილისის საყასბოში აგვისტოს განმავლობაში დაუკლავთ 4495 სხვილ-ფეხა საქონელი, 353 ხბო და 17,975 ცხვარი. ავადმყოფობისა გამო დაკვლის ნება არ მიუციათ 6 ხარისა; დაუწვავთ ერთი ძროხა და ერთი ხარი.

✦ მაწანწალა ძაღლების დამჭერმა მოიჯარადრემ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ იგი ქუჩებში მაწანწალა ძაღლების ჭერას შეუდგება 16 სექტემბრიდან ამ რიგად: პოლიციის მე-10 ნაწილში 16,17 და 18 სექტემბერს; მე-9 ნაწილში—19 და 20, მე-8 ნაწილში—22 და 23; მე-7—24,25 და 27; ხოლო მე-6 ნაწილში 28 და 30 სექტემბერს.

✦ კვირას, 15 სექტემბერს, სახალხო თეატრის ქართველ სცენის მოყვარეთა მიერ რკინის გზის თეატრში გამართული იქნება ამ სეზონში პირველი წარმოდგენა.

✦ ნავთლუღიდან 12 სექტემბერს საღამოთი წამოსულა აგტაგლიას მცხოვრები მაშადი-ამირხან-ოღლი, რომელსაც საღამოს 8 საათზე ტფილისის მახლობლად დასცემია ორი ვიღაც ბოროტ-გამზრახველი და გაუძარცვავთ. მაშადი-ოღლისათვის ყაჩაღებს წაურთმევიათ ფულად 258 მანეთი. პოლიციამ ერთის ბოროტ-მოქმედის ვინაობა უკვე გამოარკვია. იგი ახალციხის მცხოვრებელი არშაკ ინჯოევი აღმოჩნდა. გამოძიება სწარმოებს.

ხვალ გამოვა მე-58 № სურათებიანის დამატებისა შემდეგის შინაარსით: **ლექსები**—ლექსი ჰეინედან—სა, „ჯამბაზი“, მოთხრობა, თარგმ. ახოსპირელისა; ნარევი: **სურათები**—გელათის მონასტერი; დავით აღმაშენებლის საფლავი, პოლკოვნიკი სენ-რემი და მისი დამცველი; ხუთი კარრიკატურა „ტფილისის საბჭოს მოღვაწეობა“.

პრესსა

„კიევ. გაზ.“ ყურადღებას აქცევს შემნახველ-გამსესხებელ კასსებისა და ამხანაგობების დღევანდელ სამწუხარო მდგომარეობას. მე-60 და მე-70 წლებში დიდი იმედი ჰქონდათ ამ კასსებისა, ეგონათ სოფელში ერთიანად მოსპობენ ჩარჩობასა და მევახშეობასო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ამ საქმეში ჩახედულთა ცნობებით, ამბობს გაზეთი,

> შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი დღეს მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია. ამრიგად აღიძრა განსაკუთრებული საკითხი სახალხო-საკ-

ფელეტონი

წერილი ლონდონიდან

1.

ომის შემდეგ.—საზოგადოების გამოფხიზლება.—ტრედ-უნიონთა კონგრესი.—აგიტაცია სასკოლო რეფორმის წინააღმდეგ.—ხასიათი და მნიშვნელობა დამატებით არჩევნებისა

დრონი იცვალნენ. ბურების პატარა რესპუბლიკებთან ზავის დადებამ სხვა ხასიათი და ელფერი მისცა ქუჩის მანიფესტაციებს როგორც ლონდონსა, ისე სხვა ქალაქებში. გაიფანტა და გაიბნა ის ნისლ-ბურუსი, რომელშიაც საზოგადოებრივი ცნობიერება იყო გახვეული. თვალ-საჩინო და აშკარა შეიქმნა ფინანსისტებისა და იმათ გაზეთების მაღალ-ფარდოვანის სიტყვებით მოვარაყებული სიცრუე. სოლსბერ-ბალფურის სამინისტროს რეაქციონური წადილ-განზრახვანი იმათთვისაც-კი დასანახი და ადვილ გასაგები გახდა, ვინც საზოგადოდ თავის ცხვირს იქით ვარაფერსა ჰხედავენ. დადგა, როგორც იქმნა, დრო პატრიოტიზმით მიძინებულ საზოგადოების გამოფხიზლებისა. გუშინდელმა მყვირალებმა ხმა ჩაჰკმინდეს, თითქოს შერცხვათო კაცთ-მოძულეობის თავ-აღებულ ქადაგებით. კიდევ მეტიც: ეს ვაჟბატონები სცდილობენ, თავიანთი ქცევა-ლაპარაკი შეუფარდონ იმ დიდ-სულოვან კაცთა სიტყვების კილოსა და ყოფა-ქცევას, რომელთაც ომის დროს სდევნიდნენ და რომელთა განადგურებას, განდევნას, დედა-მიწის ზურგიდან აღგვას ქადაგებდნენ სამის წლის განმავლობაში. ხოლო ყველა ამას სჩადიოდნენ მარტო ჩემბერლენის, როდსისა და მონობადესპოტიზმის სხვა დამნერგველთა გულის მოსაგებად.

დიახ, დაიწყო გამოფხიზლება, ამასთან დაიწყო იგი სწრაფად და მოულოდნელად. ინგლისი, ეს დიდებული დამცველი პროგრესისა, საზოგადოებრივ ინიციატივისა და თვით-მოქმედების ტრადიციებისა, ხელ ახლა შეუდგა ჩვეულებრივ მუშაობას. იგი ხელახლა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს მთავრობასა და ადმინისტრაციას. სამინისტროც მალე მიჰხვდა, რომ ქარმა მეორე მხრიდან დაუბერა. მართალია, ქედს არ იხრის, ეუბნება ყველას, უკანასკნელ წელთა პოლიტიკას არ ვუღალატებო, მაგრამ მაინც აშკარად ეტყობა, რომ იალქნებს იმ მხარეს უმარჯვებს, საიდანაც ქარი უბერავს. საზოგადოების სურვილის დასაკმაყოფილებლად მთავრობამ, თავის და უნებურად, კომისიები დანიშნა იმ ბოროტ-მოქმედებათა გამოსარკვევად, რომელიც კაპის ახალშენსა და საინტენდანტო უწყებაში მოხდა. ზომიერება დაეტყო, რასაკვირველია მთავრობის გავლენით, მილნერის მოქმედებასაც, იმ მილნერისა, რომელმაც ომის დროს ახალშენში თითქმის გააპატონა აბსოლიუტიზმისა და დევნა-დაწიოკების პოლიტიკა... მაგრამ მთავრობის უბედურებამ ამით არ ჩაიარა: მართვა გამგეობის საქმის სადავეში მყოფთ ნაძალადევის ღიმილით მოუხდათ ტრანსვაალისა და ორანჟეს გმირების მიღება. სხვანაირად ვერც მოიქცეოდა მთავრობა, რადგანაც საზოგადოება გაორკეცებულის ალტაცებით ეგებებოდა ყველგან ბოტასა, დევეტსა და დელარეის...

თუმცა მთავრობა სცდილობს ქედის მოხრას, მაგრამ საზოგადოება ამით არ ჩაუტარებს საქმეს და არ აპატიებს რეაქციონურ პოლიტიკას, როგორც საგარეოს, ისე საშინაოს. ბალფურის გალაშქრებამ საერო სკოლის წინააღმდეგ, ყველასაგან მოძულებულ პურის ბაჟის აღდგენამ *), ვაჭრობის თავისუფლების გაუქმებამა და პროტექციონიზმის დაბრუნებამ, ირლანდიელთა დევნა-დაწიოკებამ, უმთავრესად-კი მუშათა კავშირების წინააღმდეგ დაუცხრომელმა და განუწყვეტელმა ბრძოლამ—ყველა ამან აამხედრა და ფეხზე დააყენა ინგლისელნი, ისინიც-კი, რომელთაც საზოგადო საქმე მაგდენად არ აინტერესებს. ზოგნი, რომელნიც ჯერ კიდევ გუშინ ჩემბერლენსა და ბალფურს ულოლიავებდნენ, საჯაროდ უკმაყოფილებას აცხადებენ. მაგალითი ბევრია, მაგრამ საუკეთესო ამათში ტრედ-უნიონთა კონგრესია, რომელიც ეს არის ეხლა დამთავრდა.

როგორც ყველამ ვუწყით, მუშათა ორგანიზაციები ინგლისში პოლიტიკის გარეშე სდგანან. არც საკვირველია: ამ ორგანიზაციების დროშას ეკონომიურ ნიადაგზე საბრძოლველად ამოეფარნენ ყველა მუშები, სარწმუნოებისა და დასის განურჩევლად. ხანგრძლივისა და დაუცხრომელ ბრძოლის შემდეგ იმათ შესძლეს უკეთესის პირობების შექმნა, ვიდრე გერმანიასა და თვით საფრანგეთშია. კავშირთა რიცხვი იზრდებოდა, ხოლო წევრთა რიცხვმა ორ მილიონს გადააჭარბა. გლადსტონისა და ლიბერალების ლმობიერმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით იმათმა საარჩევანო რეფორმამ, უსასყიდლო, სავალდებულო და ეკკლესიისაგან დამოუკიდებელ სწავლა-განათლების შემოღებამ და კავშირების შესახებ კანონ-მდებლობამ მშრომელნი მშვიდობიან და ლეგალურ ტაქტიკას მიაჩვია. იმიტომაც არის, რომ მესამოცდაათ წლებს შემდეგ, როდესაც დასახელებული რეფორმები შემოიღეს, მშვიდობიანობა შიგნით, ინგლისში, მხოლოდ ერთხელ დაირღვა, ისიც ორად ორის დღით—1886 წელს.

---

*) პურის ბაჟი გაუქმებულ იქმნა 1847 წელს, კობდენისა და მთლად რადიკალთა შესანიშნავ აგიტაციის შემდეგ. დიკკენსმა აი ამ აგიტაციისთვის დააარსა უმთავრესად „Daily Neus“-ი: გადასახადი გააუქმეს, მაგრამ სიმძიმე იმ გადასახადისა ჯერ კიდევ ახსოვს ხალხს.

რედიტო დაწესებულებათა რეფორმისა და ახალ ფორმების შექმნის შესახებ.

ახლანდელი ამხანაგობა სრულიად დაეცა; გლეხები არ აბრუნებენ ვალს, რაც მეტად აფერხებს კასსებს. პაის გაყიდვიდან შემდგარი თანხა არ ჰყოფნის საჭიროებას და ამხანაგობანი უსარგებლო დაწესებულებად შეიქმნენ. ამიტომ ძალიან საჭიროა ახლა ყოველმხრივ გაისინჯოს საქმე კრედიტის ორგანიზაციისა, რომელიც ძალიან ახლო ეხება ხალხის საეკონომიო ცხოვრებას. ჩვენის სახალხო კრედიტის საქმის ისტორიაში სამი ხანა არის გასარჩევი: პირველად დაარსდა სახელმწიფო ქონებათა უწყების სასოფლო კასსები, შემდეგ გავრცელდა კერძო შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი და ბოლოს ახლო ცდილობენ დაარსონ სახალხო კრედიტის დაწესებულებანი სახელმწიფოს დახმარებითა და მთავრობის გამგებლობით. ყოველი ახალი ხანა წინანდელს სასტიკად აძაგებდა და თავისის ფორმის იმედი ჰქონდა. საჭირო კია დამშვიდებით გაირჩეს თითოეული ფორმა და ყოველ ხანიდან არჩეულ იქნას კარგი მხარეები.

ახლა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის გაჭირვებათა კომიტეტები შეუდგნენ ამ საქმის განხილვას და ვნახოთ რომელ ფორმაზე შეჩერდებიან.

⁂

„იუჟნ. კურ." აღნიშნავს, რომ დღემდის მხოლოდ დაბალ და საშუალო სასწავლებლებში უჭირდათ ბავშების მიბარება, ახლა-კი უნივერსიტეტში შესვლაც გაძნელდა.

უნივერსიტეტშიო, ამბობს გაზეთი, ჯერ კიდევ დიდი ხანია არ არის, ყველას თავისუფლად იღებდნენ. როდესაც უნივერსიტეტის არჩევა თავისუფლად შეეძლო ახალგაზდებს, მაშინ დაბრკოლება არავითარი იყო; ხოლო როდესაც ეს აკრძალეს და თითოეულ სამოსწავლო ოლქის ახალგაზდებს განსაკუთრებული უნივერსიტეტი მიუჩინეს, მაშინ უნივერსიტეტში შესვლის საქმეც გაჭირდა. გარდა სამეცნიერო მნიშვნელობისა უნივერსიტეტის თავისუფლად არჩევას ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა. ახალ-გაზდა ირჩევდა საუნივერსიტეტო ქალაქს ხშირად იმ მოსაზრების ძალით, რომ ის ნაცნობები ან ამხანაგები ჰყავდა, რომელთა შემწეობით უკეთ მოეწყობოდა; ახლა კი, როდესაც ქალაქის თავის ნებით არჩევის უფლება წაართვეს, ახალგაზდა, ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად ვერ მიდის უნივერსიტეტში ან თუ მიდის, მალე იძულებული ხდება თავი დაანებოს.

გარდა ამისა ჰავასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირად სტუდენტის ჯანმრთელობისათვის უკეთესია სწორედ იმ ქალაქში წასვლა, რომელიც მის სამოსწავლო ოლქის ახალგაზდებს აკრძალული აქვთო. გაზეთი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის თავისუფლად არჩევის ნება წაერთვათ სტუდენტებს მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგან ნამეტნავად ბევრი სტუდენტობა მოგროვდაო. მაგრამ ამ საქმეს სხვა რიგად უნდა შველებოდაო

უმჯობესი არ იქნებოდა მაშინ საკითხი აღეძრათ სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელთა გამრავლების შესახებ?! ეს გამრავლება სახელმწიფო ინტერესებისათვისაც და გაძლიერებულ მრეწველობისთვისაც სასარგებლო იქნებოდა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს დღეს უმაღლეს სასწავლებელთა გახსნას.

ეს ღონისძიება მართლაც უფრო სასარგებლო იქნებოდა და ამასთანავე უფრო უკეთ აგვაცილებდა თავიდან ზოგიერთ უნივერსიტეტებში დიდძალ სტუდენტების თავის მოყრას. გარდა ამისა გაზეთის მიერ აღნიშნულ გარემოებათ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ განაპირა ქვეყნების ახალგაზდობისათვის: ჰავასაც, ეკონომიურ მიზეზსაც და სამეცნიერო მხარესაც ჩვენებურ ახალგაზდობისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ, თუ სადმე უმაღლესი სასწავლებელი გასახსნელი, უფრო ჩვენს ქვეყანაში უნდა დაარსდეს.

წერილი კახეთიდან

ქურდები

შახ-აბაზმა აღმოსავლეთ საქართველოს ისეთი წიხლი ჩასცა, რომლის კვალი საუკუნოებმაც ვერ აღმოფხვრეს: შიგ შუა კახეთსა და კუხეთში ისეთი მტაცებელნი დაასახლა, რომელთა გული არ იწმინდება. ამათზე ვერც დრო მოქმედებს და ვერც რუსეთის „შტიკი". ესენი განსაკუთრებულს, განსხვავებულს ტიპს წარმოადგენენ სპარსელებისას. ამათთვის სიმდიდრე არ არის დამაბრკოლებელი მიზეზი ქურდობისათვის და არც სიღარიბე წამქეზებელი: ქურდობენ თვით ქურდობის პროცესისათვის. ამიტომ ქურდობს თითქმის ქუდზე კაცი. მართალია, ბოლო დროს შემოიღეს ნაპარევის დაბრუნება, თუ დამკარგავი გადიხდის მათგან დანიშნულ ფასს, მაგრამ არც ეს ჩაითვლება ვერცხლ-მოყვარეობად, რადგან ქურდობასა და ნაქურდალის დაბრუნებაზე იმდენ დროს ანდომებენ, რომ მიცემული ფასი დღეში 30 კაპ. ძლივს მოდის მაშინ, როცა მუშა დღეში 50 კაპეიკი ღირს.

უმთავრესი ის არის, რომ ამ თათრებს კახეთის მკვიდრთათვის აუარებელი ზარალი მოაქვთ. მკვიდრნი ვერ გაჰმკლავებიან, რადგანაც ქურდობის საქმე მეტად მტკიცედ აქვთ გაწესრიგებული. აი მაგალითი: 31 აგვისტოს ალაზნის გაღმა იდგა ცხვარი თუშის ივანე ოსულაურისა და თუქურმიშაში მცხოვრებ რუსის ზმეიკოვისა. ამათ მოსტაცეს ოთხი ცხენი ბანიდან. 3 სექტემბერს ეს ამბავი აცნობეს თელავის დარაჯთა ურიადნიკს, თანაც დაუსახელეს ის კაცი, რომელმაც თუშს ცხენების ძებნის დროს უთხრა, შენს ცხენებს ტყუილადღა მისდევ, შორს იქნებიან; თუ გინდა, ამ ორ დღეში სხვა ოთხ ცხენს მოიყვანენ და დაიხსენიო. ამის მთქმელი, სოფ. ყარაჯალის მცხოვრები, ურიადნიკმა იმავე ღამეს დაიჭირა. დაჭერილმა სთქვა, თუშს ის უთხარ, რაც დამაბარესო, ამასთან დაასახელა დამბარებელნიც. 6 აგვისტოს სამი კაცი შეიპყრეს. ბევრი უარის შემდეგ გამოტყდნენ. აღმოჩნდა: ოთხს ს. ყარაჯალის მცხოვრებს მოუპარავთ ოთხი ცხენი, წაუყვანიათ თავიანთ სოფელში და მიუყიდნიათ რვა-რვა მანეთად მუდანლოელებისათვის, რომელნიც ამავე სოფელში ყოფილან ნამაზ ხაზარ-ხან-ოღლის სახლში. ესენი ტფილისის მაზრის მუდანლოელები ყოფილან, იმავე ღამეს გაურეკიათ ცხენები, მაგრამ იმათში ჯერ გროში ფული არ მიუციათ.

ჩვენთვის თვით ცხენების მოპარვას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, ეს არ ახალია ძველია. საყურადღებო შემდეგია:

1. იქ, სადაც ცხენები მოიპარეს, ქურდებმა დასტოვეს კაცი, რომელსაც უნდა დამკარგავისათვის ცხენების ძებნის ხალისი მოესპო და იმედი მიეცა, რომ სამაგიეროდ ცხენებს მიიღებდა, რასაკვირველია, უწყებულ საფასურით.

2. მუდანლოელების ყოფნა იმ სოფლებში და გამზადებული ლოდინი, რაც სჩანს იქიდან, რომ იმავე ღამეს მოასწრეს ცხენების გარეკვა.

3. მუდანლოელების ყოფნა იმათ სახლში კი არა, ვინც საქურდლად იყვნენ წასულნი, არამედ სხვა კაცის სახლში.

4. ცხენების გადასაცემად იმ სახლის ამორჩევა, რომელიც სოფლის თავში იყო, ე. ი. რომელიც ახლო იყო იმ მხარეზე, საითაც უნდა გაერეკათ ცხენები.

5. ცხენების ნისიათ მიცემა.

6. მეორე ღამეს ოთხის ცხენის მოლოდინი და მათთვის მსყიდველის შოვნა.

7. ოთხის ნაქურდალ ცხენის თამამად შეყვანა სოფელში იმათგან, ვისაც თვით არა ჰყავთ საკუთარი ცხენები.

8. ოთხივე ქურდისაგან სხვა და-სხვა ნაირი ჩვენება და ამ ჩვენების გამეორება თითქმის ორ დღეს, რომ აერივნათ გზა და-კვალი ჩვენების ჩამომრთმევლისათვის, თუ ეს უკანასკნელი მათზე ოსტატი არ აღმოჩენილიყო და არ ეთქმევინებინა მეორე დღეს სიმართლე.

ყველა ეს ცხად ჰყოფს, რომ ყარაჯალის და მუდანლოს მცხოვრებთ საკმაოდ გაწესრიგებული აქვთ საქმე ქურდობისა. ამისთანა ორგანიზაციასთან სხვანაირი ბრძოლა, არის საჭირო. რა ღამესაც ოთხი ქურდი დაიჭირეს, იმავე ღამეს რამდენიმე სხვა ქურდი იქმნებოდა გასული ორსავე სოფლიდან საშოვარზე. ყველას ვერ დაიჭერენ, თუნდაც კვალი მიიტანონ. რადგანაც უმრავლესობა დაუსჯელი რჩება, ქურდობა უფრო გავრცელდება და ვრცელდება კიდეც. საჭიროა განსაკუთრებული ზომები ამ სოფლებისათვის: უნდა აწერილ იქმნას ამ სოფლელთა ცხენები და მსხვილი საქონელი, ცალკ-ცალკე თვითეულ ოჯახისა; უნდა მოეთხოვოს მამასახლისს, რომ ვინც სოფელში ახლად ცხენს, ან საქონელს შეიძენს, გამოეცხადოს მამასახლისს, რომელიც იმ ოჯახის საქონლის სიაში ჩასწერავს, აგრეთვე გაყიდულს; უნდა თვითოეული უცხო კაცი, სოფელში შემოსული, მამასახლისს წარუდგინოს, რომელმაც დავთარში ჩასწეროს. უნდა ორ თვეში და ხან ორ კვირაში ერთხელ სოფელს შემოარტყან სანგალი და გაჩხრიკონ თვითეული ოჯახი, ხომ არ არის უცხო კაცი, ან უცხო საქონელი.

ყველა ეს ძნელი ასასრულებელია და ერთის შეხედვით თითქმის უსამართლოც, მაგრამ რადგანაც უფრო ძნელია ამოდენა ქურდების და ამისთანა ორგანიზაციის უკან დევნა და რადგანაც ისინი ისე უსამართლოდ ექცევიან, რომ თითქმის ქუდზე ერთ ქურდს უზრდიან კახეთს, ღირსნი არიან, მცირედი უსამართლობა თვითონაც იწვნიონ.

ნადიკვრელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 სექტემბერი

ვარშავა. გუშინ გუბერნატორის თავმჯდომარეობით სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამგე კომიტეტის მეორე სხდომა მოხდა ვარშავაში სხდომას სჯა ჰქონდა სამეურნეო ცოდნათა გავრცელებისა, გლეხებისათვის ინსტრუქტორების დანიშვნისა, გლეხთა შორის მიწათ-მწარმოებელ საზოგადოებათა დაარსებისა და საცდელ სადგურებისა და მინდვრების დაარსების შესახებ.

სევასტოპოლი. 12 საათზე ვარნას გაემგზავრნენ ბოლგარიაში დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად: ჯავშნიანი გემი „გიორგი პობედონოსეც", დიდის მთავრით ნიკოლოოზის ძით და გენერალ დრაგომიროვით და თავისუფალ ფლოტის გემი „პეტერბურგ"-ი სამხედრო მინისტრით და სამხედრო კაცთა მრავალის რიცხვით —სულ შიპკაზე ომიანობის დროს გამარჯვებულნი—და დეპუტაციები.

კოპენჰაგენი. ხელმწიფე მემკვიდრე და საბერძნეთის მეფის ძე ნიკოლოოზი მეუღლითურთ დილით ბელვიუს მოვიდნენ; მიეგებნენ: ქვრივი დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, დანიისა და საბერძნეთის მეფენი და ინგლისის დედოფალი და მერე ბერნსტორფს წავიდნენ.

კურსკი. დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და მეუღლე მისი სწრაფის მატარებლით აქ მოვიდნენ და აქედან გრაივორონის მაზრისაკენ გაემგზავრნენ, თავად იუსუპოვის გრაფ სუმაროკოვ-ელსტონის მამულში.

კიევი. 1898 წელს კიევის გუბერნატორმა აღძრა სათხოვარი, რომ სოფლებში საუკეთესო სამეურნეო იარაღი დაურიგდეთ; ეს საკითხი ეხლა საკეთილოდ გადასწყდა: მიწათ-მოქმედებისა და სამეურნეო მრეწველობის გამავრცელებელ სამხრეთ-რუსეთის საზოგადოებამ გუბერნიის ოთხ ადგილას ამ იარაღების საწყობები დააარსა; კიდევ სხვაგანაც აპირებენ საწყობების დაარსებას. საგუბერნიო მთავრობამ თანხმობა გამოაცხადა, რომ ამ საწყობებს შეიძლება საერობო თანხებიდან შემწეობა მიეცესო.

ტაშკენტი. ყაშგარიდან ოფიციალურად იტყობინებიან, რომ 9 აგვისტოს დილის 8 საათს, მიწის-ძვრა მომხდარა; სახლები დანგრეულა, ასი კაცი დაღუპულა; იანგ-შარში—20 და სოფელს ასტინში—400. ჩინელებსაც მოსვლიათ ამბავი, აქსუ-კუჩაშიაც დანგრეულა შენობები. ცოტ-ცოტათი მიწის ძვრა 19 აგვისტომდე გაგრძელებულა.

კონსტანტინეპოლი. მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელმაც რუვიეს წინადადება მოიწონა, ცოტაოდენი ცვლილება მოუხდენია ამ წინადადებაში.

პარიჟი. გაზ. „ფიგარო"-ში სეულიდან 11 სექტემბერს კერძოდ გამოგზავნილი დეპეშაა დაბეჭდილი, რომლითაც ატყობინებენ, ხმა დადისო კორეის იმპერატორი გადაიცვალაო. დეპეშაში ისიცაა აღნიშნული, რომ საქმეთა გაძნელება მოსალოდნელია, რადგან კორეისა, იაპონიისა და რუსეთის მთავრობათ თავ-თავისი კანდიდატები ჰყავთ კორეის ტახტისათვის.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა გემები დაათვალიერა და შემდეგ პატარა გემით „პეტერჰოფ"-ით პეტრე-პავლეს ეკლესიაში მიბრძანდა, საიდანაც საიმპერატორო გემით „ალექსანდრია"-თი პეტერჰოფს გაემგზავრა.

— ბალტიის ქარხანაში 12 სექტემბერს კრეისერის „ალმაზ"-ის მუშაობის დაწყება და ჯავშნიან გემის „კნიაზ სუვოროვ"-ის ზღვაში ჩაშვება აკურთხეს. დღესასწაული გააბედნიერეს თავისი თანადასწრებით ხელმწიფე იმპერატორმა, საბერძნეთის დედოფალმა, დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ და საბერძნეთის მეფის ძემ ქრისტეფორემ. შემდეგ ხელმწიფემ ინახულა კრეისერები „დიანა" და „ნოვიკ", რომელნიც შორეულ ზღვებში მიდიან, და ამ გემების აფიცრებს გზა დაულოცა.

— 11 სექტემბერს მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგელისა წავიდა თავის მამულში რამონს, ვორონეჟის გუბერნიაში.

13 სექტემბერი

პეტერბურგი. კონტრ-ადმირალები ენკვისტი და ვალი დაინიშნენ: პირველი ნიკოლაევის ნავთ-სადგურის უფროსად და ქალაქ ნიკოლაევის გრადონაჩალნიკად კონტრ-ადმირალის ტიხოცკის მაგიერად, მეორე-კი შავის ზღვის ფლოტის შტაბის უფროსად.—სასახლის სამინისტროს კონტროლის გამგე მერცალოვი დაინიშნა სენატორად.—იუსტიციის მინისტრის მურავიოვის პეტერბურგიდან დროებით წასვლის გამო, სამინისტროს მართვა დაევალა მის ამხანაგს მანუხინს.

პარიზი. საფრანგეთის მთავრობას ჯერ არ გაუცია პასუხი სტატს-სეკრეტარის გეის ნოტაზე რუმინიის ებრაელთა მდგომარეობის შესახებ, თუმცა არ შეიძლება წინდაწინვე ითქვას რას განიზრახავს დელკასე, მაგრამ დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ დელკასე არ მიემხრობა ამერიკის ნოტას.

კორეის აქაურს საელჩოში არავითარი ცნობა არ მიუღიათ კორეის იმპერატორის გადაცვალების შესახებ.

ტომსკი. აქ ჩამოვიდა ფეხით ფრანგულ გაზეთის „ლა პატრი"ს რედაქტორი დე-ლოვიე, რომელიც შარშან გამოვიდა პარიზიდან.

ქალაქ მარიინსკში საქალებო გიმნაზია იხსნება.

პეტერბურგი. ქერჩის სამეტალურგიო ქარხნებისა და მაღნების საზოგადოებამ შესწყვიტა ვალების გადახდა. აქტივი 1800000 მანეთს აღემატება; პასსივი 7000000 მანეთს.

აქაურ კლუბებს მოუვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარი, რომლით აკრძალულია მაკაოს თამაში.

სოფია. მთელი ბოლგარია ემზადება 15 სექტემბერს სადღესასწაულოდ, ომის შემდეგ 25 წლის შესრულების გამო. განკარგულება მოახდინეს, რომ ეკკლესიებში გადაიხადონ პანაშვიდები ომში დახოცილთა სულის მოსახსენებლად, ხოლო სკოლებში ამ დღის შესაფერი კითხვები გამართონ. ბულგარიის მთავარი ვარნაში წავიდა, სადაც მიეგებება რუსეთის დიდ მთავარს და სხვა სტუმრებს. მინისტრ-პრეზიდენტიც ვარნას წავიდა.

მაგრამ დღეს ბუკ-ნალარის ხმით გათამამებულმა რეაქციამ მოიწადინა ტრედ-უნიონთა უფლებების შეკვეცა, საყვარელ სკოლის გაუქმება და მუშათა შვილების აღზრდა-განათლების ანგლიკანთა ეკკლესიის ხელში გადაცემა. ნუ დაივიწყებთ, რომ მუშები სხვა-და-სხვა სექტისა და ეკკლესიის მიმდევარნი არიან. რომელმა მაცდურმა ურჩია სოლსბერ-ბალფურ-ჩემბერლენის კაბინეტს იმ დაწესებულებათა გაუქმება, რომელიც ხალხის სათაყვანებელი დასაყვარელი შექმნა!.. წარმოიდგინეს, რომ შოვინისტთა გალაღებულ პატრიოტიზმის გავლენით მოვახერხებთ საზოგადოებრივ განვითარების უკან დახევას თუ ბევრით არა, ნახევარის საუკუნით მაინცაო. მაგრამ დიდად შესცდნენ და ამ შეცდომის ნაყოფს, ეჭვი არ არის, მალე იგემებენ კიდეც... გვგონია, რომ სინანულის საქმეს ეს ვაჟბატონები ეხლავე შეუდგნენ. სხვა არა იყოს რა, იმას ხომ ჰხედავენ, რომ მეგობრები ზურგს უქცევენ და განზე გარბიან.

საუკეთესო გაკვეთილი სამინისტროს მაინც ტრედ-უნიონთა კონგრესმა მიუძღვნა იმ რეზოლიუციებით, რომელიც ომისა, სასკოლო რეფორმისა და კავშირების დევნის შესახებ გამოსთქვა.

დრო არ არის ეხლა შეუდგეთ იმპერიალისტთა და ბირჟის ბატონ-პატრონთა იმ ხრიკების ჩამოთვლას, რომლითაც არწმუნებდნენ მუშებს, რომ სამარცხვინო ომი დიდებული საერო საქმეაო. ხოლო მუშები რომ სამინისტროსა და იმის პოლიტიკის მომხრენი იყვნენ, ეს-კი ყოველ ეჭვს გარეშეა. ორს წინანდელს კონგრესზე (1900 და 1901 წელს) ზოგიერთი დელეგატი ცხარედ ურჩევდა კრებას, რომ გაერთებულ მუშათა სახელით ხმა ამოეღო ომის წინააღმდეგ. მაგრამ ორსავე კრებაზე ასეთი წინადადება გააშავეს დიდის ხმის უმრავლესობით. ეხლა-კი იგივე წინადადება, აღძრული **მიწის მთხრელის** ვორდის მიერ (წინანდელ კონგრესებზედაც იმან აღძრა), კონგრესმა მიიღო 900,000 კაცის სახელით, 300,000 კაცის წინააღმდეგ. ახალგაზდა და ლამაზ ორატორის გავლენით კრებამ დაადგინა, რომ ომი სამარცხვინო იყოო, რომ ბრძოლას ერთად-ერთი საგანი ჰქონდა—თეთრკანიანთა თავისუფალ შრომის ნაცვლად ზანგთა მონური შრომა გაებატონებინა, რომ ინგლისის მუშები ჰკიცხავენ ყოველგვარ ომს, რადგანაც იგი ხალხის ინტერესების საზარალოდ სასარგებლოა მხოლოდ ერთი მუჭა კაპიტალისტთა და ფინანსისტთათვისაო.

საელემენტარო სწავლა-განათლების შესახებ კონგრესმა ერთხმად უკმაყოფილება გამოუცხადა ბალფურის კანონ-პროექტს და დაადგინა, საპარლამენტო არჩევნების დროს იმოქმედოს იმ კანდიდატთა წინააღმდეგ, რომელნიც მხარს დაუჭერენ პროექტს. ამით კონგრესი გადასწვდა ასკვიტისა, ჰალდენისა და გრეის ფრაქციის ფრთეთა ქვეშ ამოფარებულ ლიბერალ-იმპერიალისტებსაც, იმ ვაჟბატონებს, რომელთაც ასე დაუნანებლად გაჰყიდეს გლადსტონის ტრადიცია.

ლონდონელი.

(დასასრული იქნება)

ჰარნა. 11 საათზე გემი „გეორგ პობედონოსეც“, რომელზედაც დიდი მთავარი იმყოფება, ევქსინოგრადის ახლო გაჩერდა. მთავარი ფერდინანდი მაშინვე გემით „ნადეჟდა“-თი მივიდა დიდ მთავართან. მომხიბლავი სურათია. ხალხის აღტაცება აუწერელია. სამ საათზე დიდ მთავარს მიეგებნენ. სიტყვა წარმოსთქვა საერო კრების თავმჯდომარის ამხანაგმა, რომელსაც ხალხი „ურა“-ს ძახილით მიეგება. დიდმა მთავარმა ყველას მადლობა გადაუხადა. დღეს, საღამოს 6 საათზე, ყველანი ტირნოვოს გაემგზავრებიან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს.30 წ.(ს.28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—დამი- 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ.(3 ს.48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 2 ოქტომბერს 1902 წ. ნაშუადღევის 1 საათზე, მის თანადასწრებით იქნება ხელმეორედ ვაჭრობა, 1 სექტემბერს არ შემდგარის მაგიერ, რომელზედაც იჯარით გაიცემა ნავთის საწარმოებლად ქალაქ ტფილისის კუთვნილ ოთხ სანავთო ნაჭერში ერთი ნაჭერი „ნავთის ქალაში“, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირად, ქალაქიდან 12 ვერსის მანძილზე, ზომით ორი დესეტინა და 1044 ოთხ-კუთ. საჟენი, იმ საზღვართა შორის, რომელნიც აღნიშნულია ქალაქის მიწის-მზომელის მიერ შედგენილს გეგმაზე, რაიცა თვით პირობებსა აქვს ზედ-დართული.

ეს ნავთიანი მიწის ნაჭერი იძლევა იჯარით ამოღებულის ნავთის საწილადოთ ქალაქ ტფილისის სასარგებლოდ და ამ წილის რაოდენობა იქმნება საგნად ცილობისა ვაჭრობაზე. ვისაც დარჩება ამ ვაჭრობაზე ნავთიანი ნაჭერი, ნება აქვს, რომელიც უნდა, ის ნაჭერი აირჩიოს ზემოხსენებულ ოთხ. ნაჭერში. ვაჭრობის დაწყებამდე, ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ბეთ ნაღდ ფულად ანუ %-ან ქაღალდებათ 2,000 მანეთი. ვაჭრობა მოხდება როგორც სიტყვიერად, ისე დაბეჭდილ განცხადებათა შემწეობით, ხოლო ამ უკანასკნელს შემთხვევაში დაბეჭდილ კონვერტში უნდა იყოს: ა) ბე 2,000 მან. ნაღდ. ფულად ან სახელმწიფო ან საიპოტეკო (გირავნობის ფურცლები და ობლიგაციები) %-იან ქაღალდებად ზედ-წარწერილ ფასის ანგარიშით; ბ) სახელი, მამის სახელი და გვარი იჯარის აღების მსურველისა და მისი ადრესი; გ) სიტყვებით დაწერილი უნდა იყოს, ამოღებულის ნავთის რა წილს აძლევს ქალაქს.

არავითარი გარეშე კომბინაციები, ზედდართული შემოძლეულს ფასზე და კონდიციებში წინადვე საჭიროდ არ დანახული, მხედველობაში არ იქნება მიღებული.

დაბეჭდილი პაკეტები უნდა წარედგინოს გამგეობას ნაშუადღევის 1 საათზე, არა უგვიანეს იმ დღისა, რა დღესაც დანიშნულია ვაჭრობა. განცხადებას, რომელშიაც ზემოხსენებული პირობანი არ იქნება დაცული, სრულიად არ განიხილავს გამგეობა. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ვისაც ჰსურს, შეიძლება ფოსტით გაეგზავნოს პირობანი. (ნ 3—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ

1) ამა წლის პირველ სექტემბრიდან გაიხსნა ორი ვაკანსია ი. ს. აბესალომოვის **სტიპენდიებისა:** ერთი ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში—სომხისათვის, ხოლო მეორე ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში—ქართველისათვის (100 მანეთი თითო).

ამ სტიპენდიების დებულების თანახმად, სტიპენდიები დაენიშნებათ ტფილისის ულარიბეს მკვიდრთა შვილებს. თხოვნები წარდგენილ უნდა იქმნას გამგეობის მეორე განყოფილებაში. თხოვნასთან ერთად უნდა წარედგინოს პირი დაბადების მოწმობისა და დასახელებულ საშუალო სასწავლებლის მთავრობის მოწმობა.

და 2) მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით არის თავისუფალი თანხა, 200 მანეთი, რომლითაც შემწეობა უნდა აღმოეჩინოს სწავლის ფასის გასასტუმრებლად ტფილისის რეალურ სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულს და უმაღლეს სასწავლებელში შესულ ყმაწვილ კაცს. თხოვნას, რომელიც აგრეთვე გამგეობის მეორე განყოფილებას წარედგინება, უნდა ახლდეს: ა) დაბადების მოწმობის პირი, ბ) რეალურ სასწავლებლის დირექტორის მოწმობა სწავლის დამთავრების შესახებ და გ) უმაღლეს სასწავლებლის მთავრობის მოწმობა მთხოვნელის სასწავლებელში ყოფნის შესახებ.

აბესალომოვის სტიპენდიებისათვის თხოვნის შეტანა შეიძლება ამა წლის 21 სექტემბრამდე, ხოლო 200 მანეთის შემწეობაზე ამავე წლის პირველ ოქტომბრამდე.

ის თხოვნები, რომლებთან ერთად დასახელებული ქაღალდები არ იქმნება წარდგენილი, არ განიხილება. (3—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეკის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოლტორასი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს იმათ, რომელთაც ჰსურთ თავიანთი მამული მისცენ ქალაქს ზამთარში საქონლის საძოვარად ყოველ წელიწადს 1-ლს ოქტომბრიდან 1-ლ მარტამდე; საქონელი 600 სულზე ნაკლები არ იქმნება.

საიჯარო მამული ტფილისიდან ერთის სადგურის მანძილზე უნდა იყოს. მამული საჭიროა საქონლის საბალახოთ და თივით საკვებავადაც, ამისთვის მამული არა ნაკლებ 500 დესეტინისა უნდა იყოს და თივაც არა ნაკლებ 30 ათასი ფუთი უნდა დამზადდეს. წყალიც საკმარისი უნდა ჰქონდეს საქონელს და არც შორს უნდა იყოს საძოვრიდან. მამული სამ წელიწადზე ნაკლებ არ აიღება იჯარით, მაგრამ იმ უფლებით, რომ შემდეგისთვისაც იმავე პირობით დარჩეს. ფასი დესეტინაზედ უნდა იქმნეს გამოცხადებული, თივისა-კი ფუთობით.

თუ დასჭირდება, ქალაქს უფლება ექმნება მამულში ბოსელიააშენოს და მამულის პატრონმაც ცოტაოდენი მონაწილეობაც მიიღოს ამის ხარჯში (არა ნაკლებ 60—70 თუმნისა), მაგრამ იმ პირობით, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ შენობები მამულის პატრონს დარჩება.

მსურველმა განცხადება უნდა ფოსტით გამოუგზავნოს ან პირად წარუდგინოს ქალაქის გამგეობას 18 სექტემბრამდე—ქალაქის ხორცის დუქანთა გამგე კომისიის თავმჯდომარეს. (6. 3—1).

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

ტელეფონი № 741.

გადავიდა ერთ შენობაში ,,სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, фармацевтика. (0—18)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—55)

სია ხმოსანთა ტფილისის ქალაქის საბჭოსი

1902—1906 წლებისათვის,

ამორჩეულნი ქალაქის საარჩევნო კრების მიერ 8 სექტემბერს 1902 წელს.

რიგი ხმის უმრავლესობ.	გვარი და სახელი იმათი, ვინც ყუთი დაიდგა*)	რადენი კენჭი ამოუვიდა.	
		თეთრი	შავი
	I. ხმოსნები:		
1	ნიკოლაძე, ნიკოლოოზ იაკობის ძე	152	8
2	მეიერი, ევგენი ვლადისლავის ძე	134	27
3	საბახტარიშვილი, ბექან როსტომის ძე	130	30
4	ესაკია, მიხეილ ბესარიონის ძე	130	30
5	ერისთავი, თავ. ანდრია მიხეილის ძე	127	34
6	ქავთარაძე, სამსონ ბექანის ძე	118	41
7	გუგუშვილი, ალექსანდრე დიმიტრის ძე	118	42
8	ყრუაშვილი, ლუარსაბ მიხეილის ძე	117	43
9	რუხაძე, კონსტანტინე იაგორის ძე	117	43
10	საბახტარიშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძე	117	43
11	ალხაზოვი, მიხეილ გაბრიელის ძე	113	47
12	ღლონტი, ნიკოლოოზ გრიგოლის ძე	113	47
13	ქვანია, ანდრია პეტრეს ძე	112	48
14	მიქაბერიძე, კონსტანტინე იოსების ძე	109	50
15	ხუნჯუა, იულონ სიმონის ძე	108	51
16	დიდია, გიგო ნიკოლოოზის ძე	107	53
17	პილიდი, დიმიტრი გიორგის ძე	107	53
18	სტავრიდი, გიორგი სტავრის ძე	106	54
19	ბაქბეუკ-მელიქოვი, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე	105	55
20	კილურაძე, ნიკოლოოზ სტეფანეს ძე	105	55
21	ინასარიძე, კონრადი ექვთიმეს ძე	103	56
22	ხოშტარია, ალექსანდრე ბიჭიას ძე	103	56
23	თოფურიძე, ვასილ იოსების ძე	102	58
24	ანდღულაძე, მიხეილ გიორგის ძე	101	59
25	ჩოჩუა, სოლომონ სპირიდონის ძე	100	60
26	ჩოჩუა, სამსონ შუკრიის ძე	98	62
27	ლოლუა, ანდრია დავითის ძე	97	62
28	მაკალათია, დავით ნიკოლოზის ძე	97	63
29	ფანცხავა, იაკობ სპირიდონის ძე	96	64
	II. ხმოსანთა კანდიდატები:		
30	ხოფერია, ალექსანდრე ნიკოლოოზის ძე	94	66
31	გოგინავა, სტეფანე დავითის ძე	93	66
32	ფანცულაია, დიმიტრი საბას ძე	93	67
33	ცივცივაძე, მიხეილ როსტომის ძე	62	67
34	გაბუნია, ევგენი მიხეილის ძე	87	73
35	იოსელიანი, ალექსანდრე იესეს ძე	87	73
	III. ის კანდიდატები, რომელთაც თეთრი კენჭი მეტი ამოუვიდათ, ვიდრე შავი.		
36	გაბელია, ევგენი დიმიტრის ძე	86	74
37	ჩაჩავა, ავქსენტი თომას ძე	86	76
38	ნამიჭეიშვილი ნიკოლოოზ სიმონის ძე	81	79
39	ეგორშევი, პეტრე სტეფანეს ძე	81	79

(1—1)

---

*) სულ ყუთი დაიდგა 46 კანდიდატმა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 13 Сентября, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).